პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 235 (10011)

კვირა, 3 ოქტომბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. — **„პრავდის“ 2-X მოწინავე** (1-ლი გვერდი).

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი შადრინსკში (1-ლი გვერდი).

პარტიულ თემაზე. — **პ. ბაქრაძე.** — მეშახტე კომუნისტების სამხრეთლო ამოცანა (მე-2 გვერდი).

გ. ხეჩუაშვილი, ი. ბალიაშვილი. — ხირსაში რთველი გაჩაღდა (მე-2 გვერდი).

უკანასკნელი ფოსტიდან. — გაზეთის მუშაკისათვის მეუფლებელი საქციელი (მე-2 გვერდი).

ბ. ეკალაძე. — ცილისმწამებელი (მე-2 გვერდი).

შ. ჭოჭუა. — მკაცრად დავსაჯოთ [illegible] მიმთვისებლები და მათი ხელშემწყობნი (მე-3 გვერდი).

ხელოვნების ქრონიკა (მე-3 გვერდი).

გ. ხუცურაული. — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მსოფლიო პროფმოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. იგი აყენებს სერიოზულ და ეფექტიან ღონისძიებებს, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან აგვაცილონ ატომური ომის საფრთხე, უზრუნველყონ შეიარაღების შემცირება და კოლექტიური უშიშროების ქმედითი სისტემის შექმნა.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მთავრობას არაერთხელ წამოუყენებია ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებისაკენ. ამას წინათ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას ატომის პრობლემაზე, ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის მტკიცე მისწრაფება — მიაღწიოს, მიუხედავად არსებული უთანხმოებისა და სიძნელეებისა, ატომის პრობლემის ისეთ გადაჭრას, რომელიც ხელს შეუწყობს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას და ჩაყენებს ატომის ენერგიას მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში.

ამჟამად ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებაზე იმის შესახებ, რომ დაიღოს საერთაშორისო კონვენცია (ხელშეკრულება) შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე. ეს წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად 30 სექტემბერს შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტში აღნიშნულია: „გენერალური ასამბლეა ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას შეიმუშაოს და წარადგინოს უშიშროების საბჭოს დასამტკიცებლად პროექტი საერთაშორისო კონვენციისა (ხელშეკრულებისა), რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება და რომელიც ითვალისწინებს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას და მათს ამოღებას სახელმწიფოთა შეიარაღებიდან, შეიარაღების არსებით შემცირებას და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საფრანგეთისა და ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი“.

ძირითადი დებულებანი, რომლებიც უნდა იყოს ზემოაღნიშნულ კონვენციაში, შეიცავენ შემდეგ ღონისძიებათა ერთსა და იმავე დროს განხორციელებას.

სახელმწიფოები ექვსი თვის (ან წლის) განმავლობაში ამცირებენ თავიანთ შეიარაღებას, შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო ბიუჯეტებით ასიგნობებს სამხედრო საჭიროებათათვის, შეთანხმებული ნორმების 50 პროცენტის ოდენობით. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება წარმოებს შეიარაღების და შეიარაღებული ძალების იმ დონის მიხედვით, რომელიც იყო 1953 წლის 31 დეკემბერს. ასიგნობათა შემცირება ხორციელდება 1953 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებათათვის გაწეული ხარჯების დონის მიხედვით. სახელმწიფოთა მიერ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობის მიზნით უშიშროების საბჭოსთან იქმნება დროებითი საერთაშორისო საკონტროლო კომისია, რომელსაც უფლება ექნება მოსთხოვოს სახელმწიფოებს საჭირო ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია ერთსა და იმავე დროს განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი: სახელმწიფოები ექვსი თვის (ან წლის) განმავლობაში ამცირებენ თავიანთ შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებს და სახელმწიფო ბიუჯეტებით ასიგნობებს სამხედრო საჭიროებათათვის შეთანხმებული ნორმების დანარჩენი 50 პროცენტით; ხორციელდება ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული აკრძალვა, ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტა და მათი სრული ამოღება სახელმწიფოთა შეიარაღებიდან; მთელი არსებული ატომური მასალები გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის ღონისძიებათა განხორციელება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს, ვიდრე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელება, ამასთან ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება შეწყდება დაუყოვნებლივ, როგორც კი დაიწყება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების და სამხედრო საჭიროებათათვის ასიგნობების შემცირება შეთანხმებული ნორმების დანარჩენი 50 პროცენტით.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ შეიქმნას მუდმივი საერთაშორისო ორგანო, რომელიც განახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ ხორციელდება კონვენცია ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის, ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტის, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მათი ამოღების და შეიარაღების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო საჭიროებათათვის ასიგნობების შემცირების შესახებ. ასეთ საერთაშორისო ორგანოს რწმუნება ექნება განახორციელოს კონტროლი, მათ შორის ინსპექცია მუდმივ საფუძველზე, იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ყველა სახელმწიფოს მიერ აღნიშნული კონვენციის შესრულების უზრუნველსაყოფად.

გენერალური ასამბლეის განსახილველად შეტანილი წინადადებანი საბჭოთა კავშირის ახალი დიდი წვლილია მშვიდობისა და სახერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეში. ეს წინადადებანი ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ საბჭოთა კავშირი სიტყვით კი არა, საქმით ცდილობს მიაღწიოს საერთაშორისო შეთანხმებას უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც შეეხება ყველა ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

როგორც აღნიშნულია საბჭოთა რეზოლუციის პროექტში, საერთაშორისო კონვენციას, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაჩვს, საფუძვლად უდევს საფრანგეთისა და ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი, რომლებიც ამ სახელმწიფოებმა შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომების მსვლელობის დროს ამით საბჭოთა კავშირი აკეთებს ნაბიჯს, რათა მოისპოს ამ კომისიის მუშაობაში ჩიხი, რომელიც წარმოიშვა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შედეგად. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვასთან და შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების დადებითად გადაჭრა დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოთა კეთილ ნებაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო დროს დასავლეთის სახელმწიფოთა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები ცოტას როდი იძლევიან სიტყვიერ დაპირებებს მათი „კეთილი ნების“ შესახებ. 23 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა გენერალურ ასამბლეაში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „სწამთ საყოველთაო მშვიდობის დამყარების შესაძლებლობა“, გამოთქვამენ „თავიანთ მხურვალე სურვილს შემცირდეს შეიარაღების ტვირთი“, მოითხოვენ ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას და სხვ.

მაგრამ ამგვარი განცხადებანი ცუდად ეგუება ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელი მოღვაწეების პრაქტიკულ საქმეებს. გენერალურ ასამბლეაზე თავისი სიტყვის წარმოთქმიდან ხუთი დღის შემდეგ დალესი აღმოჩნდა ლონდონში ცხრა სახელმწიფოს კონფერენციაზე და, როგორც ცნობილია, სათავეში ჩაუდგა იქ იმ ძალებს, რომლებიც დაჩქარებით ეძებენ დასავლეთ გერმანიის რევანშისტთა ხელახლა შეიარაღების გზით, არა აგრესიული ბლოკებისა და სხვის საზღვრებთან სამხედრო ბაზების სისტემის შექმნის გზით, არამედ ყველა ქვეყნისათვის მისაღებ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა ძიების გზით.

საბჭოთა კავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობანი მოუწესრიგებელ პრობლემებზე შეთანხმების მისაღწევად. მაგრამ ამას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულ იქნება სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, სახელმწიფოთა უფლებებისა და ინტერესების ურთიერთ პატივისცემა და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება.

სწორედ ამ პირობებს შეესაბამებიან საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც შეტანილია გენერალურ ასამბლეაში. როცა ეს წინადადებანი შეჰკრთნდა, საბჭოთა დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი წარმოადგენენ გზას, რომელიც დაეხმარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს თავისი მოვალეობა ატომური იარაღის გამოყენების საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ახალ ნაბიჯს დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომელსაც იგი მიაჩნია სსრ კავშირის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მკაფიო დადასტურებად. ეს გარემოება არ შეიძლება არ გაითვალისწინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებმა.

საფრანგეთის ფრანს პრესის სააგენტომ დახასიათა ახალ საბჭოთა წინადადებებზე გენერალური ასამბლეის დელეგატთა გამოხმაურება და 1 ოქტომბერს განაცხადა: „გუშინ გაიარაღების პრობლემის დარგში გადაიდგა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მრავალი წლის მანძილზე მისი გადაჭრის მიმართულებით“. სააგენტოს სიტყვით, საფრანგეთის დელეგაციის წევრმა ჟიულ მოკმა, რომელიც საფრანგეთს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში, თქვა, რომ „საბჭოთა წინადადებას შეიძლება ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს“.

ინგლისის დელეგაციის მეთაური გამოსაქვეყნებლად გადაცემულ განცხადებაში მოითხოვს „გულდასმით შეისწავლონ ის, რაც ვიშინსკიმ თქვა“.

თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხაზგასმით აღნიშნა თავის განცხადებაში, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები ამ წინადადებას განიხილავენ ობიექტურად, გულწრფელი იმედით, რომ იგი რეალური ნაბიჯი აღმოჩნდება ყოვლისმომცველი, ეფექტიანი და ქმედითი განიარაღების გზაზე“.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად გამოიჩენენ დასავლეთის სახელმწიფოები საქმით კეთილ ნებას შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის ინტერესებისათვის.

„პრავდის“ 2-X მოწინავე.

დარგაზოგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ჯან ვენ-ტიანმა დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი, მ. დ. ჩუბინიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. თ. თევოსიანი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ა. აკოფოვი, ს. ფ. ანტონოვი, პ. ი. ანტროპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. გ. ბაკაევი, ი. ა. ბენედიქტოვი, ბ. პ. ბეშჩევი, კ. პ. გორშენინი, პ. ვ. დემენტიევი, ნ. ა. დიგაი, ვ. გ. ჟავორონკოვი, ა. გ. ზვერევი, ა. ა. იშკოვი, ი. გ. კბპანოვი, ნ. ს. კაზაკოვი, ვ. დ. კალმიკოვი, ა. ი. კოზლოვი, ი. კ. კოზიოლია, ლ. რ. კორნიეცი, ა. ი. კოსტოუსოვი, ი. ა. ლიხაჩოვი, პ. ფ. ლომაკო, ე. ს. ნოვოსელოვი, ი. ი. ნოსენკო, ა. ს. პავლენკო, პ. ი. პარშინი, ნ. ს. რიჟოვი, ს. მ. ტიხომიროვი, დ. ფ. უსტინოვი, ზ. ა. შამკოვი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, საკადესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „კრასნაია ზვეზდის“ მთავარი რედაქტორი ვ. პ. მოსკოვსკი, გაზეთ „ტრუდის“ მთავარი რედაქტორი ბ. ს. ბურკოვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. პ. კოსიაჩენკო, სსრ კავშირის მინისტრთა მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, კ. კ. ვინოგრადოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ფ. გარბუზოვი, ვ. ა. გონჩარენკო, ი. დ. გოცირიძე, ვ. ა. ზორინი, გ. ა. კარავაევი, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. რ. კუზმინი, ა. ს. კუზმიჩი, პ. ნ. კუმიკინ, ა. ნ. კურშევი, ი. ი. ლებედი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ვ. მაცკევიჩი, ვ. ა. ნიკიფოროვი, დ. ვ. პავლოვი, ნ. თ. პესჩანი, დ. ა. რიჟკოვი, ი. ფ. სემიჩასტნოვი, კ. ი. სერგეიჩუკი, ვ. ნ. სტოლეტოვი, მ. ვ. ხრუნიჩევი, ა. ი. შახურინი, ავიაციის მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, ავიაციის მარშალი ნ. ს. სკრიპკო, არმიის გენერლები კ. ს. მოსკალენკო, ვ. ვ. კურასოვი, მ. ს. მალინინი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ფ. კუზნეცოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. გ. იაკოვლევი, საბჭოთა კავშირის ქალთა ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარი ა. ს. გუნდოროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. ი. გორკინი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის მრეწველობის ნოვატორები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტები.

ჩინეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საელჩოს მრჩევლები ვენ ნინი, სიუი ტე-მინი, ლი ტაო, სავაჭრო მრჩევლები ლუ ფანი, სიუი და-შენი, სამხედრო ატაშეს თანამშრომელი პოდპოლკოვნიკი ში სია და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმართა შორის აგრეთვე იყვნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: ბირმის კავშირისა — მ. ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნგუენ ლონგ ბანგი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. ლევიკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ი. ვოშაგლიკი, ნიდერლანდებისა — ე. ტ. დე მატოსი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადიღბაში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა — რ. აპელტი, დიდი ბრიტანეთისა — უ. ჰეიტერი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ტ. ლუკანოვი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — რ. სუბანდრიო, ისრაელის სახელმწიფოსი — ს. ელიაშივი, საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: ლუქსემბურგისა — რ. ბოლმი, ფინეთისა — ო. გარტცი, სირიისა — ფ. ელხანი, დროებითი საქმეთა რწმუნებულნი: ნორვეგიისა — ს. ეკელანდი, პაკისტანისა — მ. ახმადი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. კოვაჩი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — ს. ხაირო, ავღანეთისა — აბდულ კაიუმი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — შ. დუკა, შვეიცარიისა — ს. ეილერ-შელპინი, ინდოეთის რესპუბლიკისა — პ. ნ. ქაული, შვეიცარიისა — ჟ. დე სტუცი, დანიისა — გ. ლარსენი, უცხოეთის საელჩოებისა და მისიების წევრები.

დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ ინდონეზიის რესპუბლიკის ეკონომიური დელეგაციის მეთაური რ. სანუსი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაური ცერენდორჟი, ვიეტნამ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის მეთაური ტრანჰიუი ლიე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ჯან ვენ-ტიანმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიუძღვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღწევების შედეგებს. სპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ა. ი. ვოროშილოვმა და ვ. მ. მოლოტოვმა.

დარბაზობამ განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი შადრინსკში

შადრინსკი. (**ჟურნალის ოლქი**), 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით შადრინსკში გაიხსნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოიწვია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. თათბირი მიეძღვნა ნიადაგისა და ნათესის დამუშავების იმ ახალი სისტემის შესწავლისა და გავრცელების საკითხს, რომელიც შეიმუშავა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მომუშავე მეცნიერთა ჯგუფმა.

თათბირზე ჩამოვიდა 500-მდე კაცი, მათ შორის — საკავშირო და რესპუბლიკური სოფლის მეურნეობის სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, აგრონომები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკების, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. კუჩუმოვმა. მან აღნიშნა ის განსაკუთრებით დიდი წვლილი მეცნიერებასა და პრაქტიკაში, რაც შეიტანა სტალინური პრემიის ლაურეატმა ტ. ს. მალცევმა, რომელმაც შეიმუშავა ნიადაგისა და ნათესის დამუშავების ახალი სისტემა.

— ეს სისტემა, — განაცხადა ამხ. კუჩუმოვმა, — ამსხვრევს ძველ ტრადიციებს, რომლებსაც ემყარებოდა ნიადაგის დამუშავების სისტემა, და დიდ პერსპექტივებს სახავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადიდების ახალი გზების გამოძებნაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩვენთან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. თათბირი მიეძღვნა ნიადაგისა და ნათესის დამუშავების იმ მეთოდების შესწავლისა და გავრცელებისათვის, რომლებიც ამხ. მალცევმა შეიმუშავა. თათბირის მონაწილეები ამ მეთოდების აქტიური პროპაგანდისტები გახდნენ. ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქსა და რესპუბლიკაში მოეწყო თათბირები, რომლებმაც განიხილეს ამხ. მალცევის თეორიული დებულებები, ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. 1954 წელს მრავალ ათას ჰექტარზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართო ცდები აწარმოეს, ხოლო ამიერკავკასიის და ციმბირის კოლმეურნეობებმა გაბედულად დაიწყეს ამხ. მალცევის მეთოდების გამოყენება.

ყოველი მხრიდან დადებითი გამოხმაურება მიიღო რა კოლმეურნე მეცნიერის წინადადებებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მიიღო, რომ ყველა მეურნეობის დირექტორმა, მთავარმა აგრონომმა, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა და რაიონების პარტიული კომიტეტების მდივნებმა პირადად შეისწავლონ ამხ. მალცევის მეთოდები და ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდები ადგილობრივ პირობებში გამოიყენონ.

თათბირზე ამხ. მალცევმა ისაუბრა ნიადაგის დამუშავების ახალი მეთოდების შესახებ, რომლებიც ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მომუშავე მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ამ მეთოდების საფუძველზე.

ამხ. მალცევის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ნიადაგის დამუშავების ახალი სისტემა ეფუძნება ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების ამაღლების ობიექტური კანონების ცოდნას. ამ სისტემის ძირითადი ამოსავალი დებულებაა ის, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ ნიადაგის დამუშავების ყველა ღონისძიება ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იქნება განხილული და ჩატარებული

ძლიერდება მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას. აქ კომუნისტები განსაკუთრებული მონდომებით იმაღლებენ იდეურ-პოლიტიკურ დონეს. შექმნილია ლექტორიუმი. პარტიული განათლების სისტემაში ახალ სასწავლო წელს გათვალისწინებულია მაღალკვალიფიციური ლექციების მოწყობა კომუნისტური პარტიის ისტორიაში, ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში. წაიკითხება ლექციები ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების შესახებ, გაძლიერდება თეისტური პროპაგანდა. 22 პროპაგანდისტი და 15 კონსულტანტი უნივერსიტეტსა და ქალაქის სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციაში ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას, უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტში ყოველდღიურად მორიგეობენ მაღალკვალიფიციური კონსულტანტები, რომლებიც სათანადო დახმარებას უწევენ როგორც სტუდენტობას, ისე მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებს.

ორასზე მეტი კომუნისტი უკვე შეუდგა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას. მათთვის 1 ოქტომბერს წაკითხულ იქნა ლექციები: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია“ და „ჩინეთი სოციალიზმის გზაზე“.

მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო პირველი მეცადინეობა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ სემინარში, რომელშიც გაერთიანებული არიან ქიმიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის დიდ ინტერესს იწვევს ახლახან გამოსული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო. ძლიერდება ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა.

პირველი დღე

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში ახალი სასწავლო წლის დაწყებას წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რამაც უზრუნველყო წელს პარტიული სწავლების ორგანიზებულად დაწყება. წელს ქალაქში იმუშავებს პარტიის ისტორიის შემსწავლელი 60 წრე და 19 პოლიტსკოლა. თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებაზე დამოუკიდებლად იმუშავებს 3.000-ზე მეტი კომუნისტი.

პირველ ოქტომბერს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ამ დღეს მეცადინეობა გაიმართა ქალაქის პირველებს პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ 17 წრესა და პოლიტსკოლაში და რამდენიმე სემინარზე.

სტალინის სახელობის წავთობგადამმუშავებელ ქარხანაში მეცადინეობა გაიმართა ორ სემინარში, სამ წრესა და პოლიტსკოლაში.

ორგანიზებულად მოეწყო პირველი მეცადინეობა პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში (სწავლების მეორე წელი), რომელსაც გამოცდილი პროპაგანდისტი პ. კვაჭაძე ხელმძღვანელობს. ასევე კარგად დაიწყო მეცადინეობა პარტიის ისტორიის შემსწავლელმა მაღალი ტიპის წრემ (ხელმძღვანელი ი. პოტაპენკო).

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად მოაწყო პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორის პ. ციცხვაიას ლექცია თემაზე — „როგორ ვიმუშაოთ წიგნზე და კონსპექტების შედგენაზე“.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში რთველი დაიწყო. ყურძნის ბარაქიან მოსავალს იღებს მეორე ბრიგადა, რომელსაც ი. ბიაშვილი ხელმძღვანელობს. აქ საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 150 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 63 ცენტნერისა. ბრიგადამ სახელმწიფოს ჩაბარა 25 ტონა ყურძენი.

სურათზე: (წინა პლანზე): ე. სიბაშვილი ყურძენს აწყობს გოდორში მიმღებ პუნქტში გასაგზავნად. ფოტო შ. გოჩაძისა.

ხირსაში რთველი გაჩაღდა

ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სამასზე მეტი მუშა ღილაობრიად იწყებს ყურძნის კრეფას.

ღვინის ქარხნისაკენ განუწყვეტელ ნაკადად მიდიან ყურძნით დატვირთული ავტომანქანების კოლონები.

მეურნეობის ვენახები 390 ჰექტარზეა გადაჰიმული. აქედან სრულმოსავლიანია 245 ჰექტარი. როგორც ცნობილია, ვენახი სრულ მოსავალს მეხუთე წელს იძლევა, მაგრამ ხირსელმა მევენახეებმა ისე კარგად მოუარეს ვენახს, რომ სამ და ოთხწლიანმა ვაზმაც მაღალი მოსავალი მოგვცა. ამ ნაკვეთებში უფრო ადრეც დამწიფდა ყურძენი და რთველი პირველად აქედან დაიწყეს. სამწლიანი ვენახებიდან საშუალოდ ჰექტარზე 65 ცენტნერ ყურძენს იღებენ, გეგმა კი 30 ცენტნერს ითვალისწინებს, ხოლო ოთხწლიანი ვენახებიდან გეგმის გადამეტებით 30-40, ზოგიერთ ნაკვეთში კი 60 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

ამ ბრიგადის ვენახი, რომელსაც ა. თანდაშვილი ხელმძღვანელობს, 1951 წელს გაშენდა, მაგრამ მისი ვაზები ძველ ვაზებს არ ჩამოუვარდება. ბრიგადამ სამ დღეში 5 ჰექტარი მოკრიფა და თვითეული ჰექტარიდან 108 ცენტნერი ყურძენი ჩაბარა ქარხანას.

ვენახი საუკეთესოდ აქვს მოვლილი მერვე ბრიგადას (აგრონომი დ. ალადაშვილი). აქ თვითეულ ჰექტარზე 79 ცენტნერის ნაცვლად 110 ცენტნერ ყურძენს იღებენ.

ყურძნის მაღალი მოსავალი მიღწეულია მეურნეობის მთელი კოლექტივის დაუცხრომელი შრომით, წარმოებაში ახლისა და პროგრესულის დანერგვის გზით. იმ საყოველთაოდ ცნობილ აგროტექნიკურ ღონისძიებათა გარდა, რომლებიც ხირსელმა მევენახეებმა თანმიმდევრულად განახორციელეს გასული წლის შემოდგომიდან დღემდე, წელს პირველად მოაწყეს ურწყავ ფართობში მდებარე ვენახების მორწყვა ნიაღვრის წყლით. ადრე გაზაფხულზე რწყავდა სამჯერ ჩატარდა. ამის შედეგად ახლა ამ ვენახებში 15 ცენტნერით მეტ მოსავალს იღებენ, ვიდრე წინა წლებში.

ვენახების დამუშავების თითქმის ყველა სამუშაო, გარდა ბორდოს ხსნარის შესხურებისა, მექანიზებულია.

გამუდმებით ისმის ყურძნის საჰყლეტი მანქანების რიტმული გუგუნი... ნაკადულივით მიჩუხჩუხებს ყურძნის წვენი რეზერვუარებში, საიდანაც იგი თვითდინებით ქვევრებსა და 40 დეკალიტრიან კასრებში ნაწილდება.

მარანში მუშაობა დღედაღამ წარმოებს. ყოველდღიურად აქ 150 ტონა ყურძენი მუშავდება.

წელს ხირსელებმა ყურძნის საზიდად პირველად გამოიყენეს სპეციალურად მოწყობილი თვითსაცლელი ავტომანქანები. სისუფთავის დაცვისა და დანაკარგების შემცირების მიზნით ავტომანქანის ძარას ტილო ამოკერეს.

ქარხანას ჰყავს დაოსტატებული მეღვინეები, სხვადასხვა ჯგუფიკაციის სახელოვანი მუშები. ვ. ქოჩიშვილი დაჰყლეტილი ყურძნის მიღება-დაწნეხვაზე მუშაობს და ერთნახევარ ნორმას ასრულებს. მ. ალადაშვილი ბუნკერიდან საჰყლეტ მანქანას ყოველდღიურად 80-90 ტონა ყურძენს აწვდის, რაც დღიურ ნორმას 53 ტონით აღემატება, ოლია პატკანა დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებს, ი. თითილოკაშვილი, ზ. ნატროშვილი და ვ. ხუციშვილი 45 ცენტნერის ნაცვლად ავტომანქანებიდან 200 ცენტნერი ყურძნის გადმოტვირთვას ასწრებენ.

დაუსრულებელ ნაკადად მოდის ხირსული ყურძენი, შეუფერხებლად წარმოებს მისი გადამუშავება.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.
ი. ბალიაშვილი,
სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ რედაქტორის მოადგილე.

უკანასკნელი ფოსტიდან

გაზეთის მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელი

ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე საქალაქო და რაიონულმა გაზეთმა მეშახტის დღეს მოათავსა ტყიბულის ქვანახშირის სამაღოსა და მისი მოწინავე ადამიანებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილი. ეს გასაკვირველი არ არის. გასაკვირველი ის არის, რომ ყველა ამ წერილის ავტორი ერთიდაიგივე პირია — ტყიბულის რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციის მდივანი დ. საბელაშვილი.

გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ რედაქტორს, ცხადია, არ შეეძლო სცოდნოდა, რომ მისთვის გაგზავნილი წერილი ექნებოდა სხვა რომელიმე გაზეთსაც. ალბათ, სწორედ ამით ისარგებლა დ. საბელაშვილმა, როცა რამდენიმე ცალად გაამრავლა თავისი წერილი „ტყიბული — საქართველოს დონბასი“ და დაუგზავნა სხვა გაზეთებსაც, კერძოდ თელავის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის ხმას“ და ონის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ შენებლობას“. ამავე წერილის მიხედვით არის გაკეთებული დ. საბელაშვილის წერილები ტყიბულზე, რომლებიც სხვადასხვა სათაურით დაიბეჭდა მახარაძის და ამბროლაურის რაიონულ გაზეთებში.

ასეთი მაგალითი ერთეული რომ იყოს, შეიძლება ამაზე არაფერი გვეთქვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენი გაზეთის მუშაკთა წრეში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან დ. საბელაშვილისთანა საქმოსნები, რომლებიც, ჰონორარით გატაცებულნი, ერთსა და იმავე მასალას აჭეყნებენ რამდენიმე გაზეთში. მათი ასეთი საქციელი, რომელიც უცხოა ჟურნალისტური ეთიკისათვის, უსათუოდ გაკიცხვის ღირსია.

ცილისმწამებელი

ადამიანი, რომლის „მოღვაწეობის“ შესახებ გვინდა მოგითხროთ ამ წერილში, მუშაობს თბილისის თვალის სნეულებათა დისპანსერში მთავარი ექიმის თანამდებობაზე. მან 1951 წელს დაიცვა დისერტაცია და მიიღო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მისი კანდიდატის ქარზე დიდი ასოებით აწერია: გასვიანი ვლადიმერ ონისიმეს-ძე.

მეცნიერი მუშაკი, თვალის ექიმი — ასე ახასიათებს თავის თავს ჩვენი „გმირი“ ავტობიოგრაფიაში, რომელიც დართული აქვს მის პირად საქმეს. ვ. გასვიანის პირად საქმეს დართული აქვს აგრეთვე ვრცელი ახსნა-განმარტება და უამრავი ხელნაწერები ქართულ და რუსულ ენებზე.

ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის ხელში გაუვლია ამ ხელნაწერებს, რამდენი სერიოზული მუშაკის შრომადღე შეუწირავს, რამდენი პატიოსანი ადამიანის გული აუფორიაქებია ცილისწამების გამო.

ხელნაწერთა ერთ ნაწილს მიმდინარე წლის თარიღი აზის. არის ისეთი წერილებიც, რომლებსაც ათი წლის წინანდელი რიცხვი აწერია. ჩანს, ვ. გასვიანი „საშწერლო ასპარეზზე“ მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში გამოსულა.

თავის ანონიმურ წერილებში ვ. გასვიანი ვის არ სწამებს ცილს — ექიმებს, პროფესორებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს. რა არ წერია ამ წერილებში: მავნებლობა, მექრთამეობა, კონტრრევოლუცია... ხელნაწერებში უხვად არის გამოყენებული უწმაწური სიტყვები, პორნოგრაფიული „ეპითეტები“.

ყველა „ბრალდება“ და „სიგნალი“, რომლებსაც ვ. გასვიანი ანონიმურ წერილებში წერს, მოჭორილი, ცილისმწამებლური აღმოჩნდა.

რა ამოძრავებდა ექიმ ვ. გასვიანს, რატომ მოჰკიდა ხელი საბჭოთა ადამიანისათვის ამ ბინძურ „პროფესიას“?

ვ. გასვიანი 1943 წლიდან ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა. 1945 წელს იგი გაათავისუფლეს კინკლაობისა და უხეირო მუშაობისათვის. ბევრი იბრძოლა, მაგრამ კარიერა ვერ აღიდგინა. მაშინ გადაწყვეტა შური ეძია იმ პროფესორებზე და ექიმებზე, რომლებმაც კლინიკაში კინკლაობის დროს მხარი არ დაუჭირეს. გამბოროტებულმა ობივატელმა ბრძოლის მეთოდად ხელმოუწერელი განცხადებების წერა აირჩია.

პირველ ხანებში ვ. გასვიანი ანონიმურ წერილებს აცხობდა. ხოლო როცა შეამჩნია, რომ უავტორო წერილებს მაინცდამაინც ანტიურად არ ეხმაურებოდნენ, თავის „მოღვაწეობაში“ ერთგვარი „გაუმჯობესება“ შეიტანა — წერილებზე გამოგონილი გვარების მიწერა დაიწყო.

ვ. გასვიანს (დანამატულის ქვალის დასაფარავად) დაჭირავებული ჰყავდა თავისი პაციენტი ირინა პოპოვა და ცილისმწამებლურ ტიპტებს კარნახით აწერინებდა, აწერინებდა და გზავნიდა თბილისში, მოსკოვში...

ნათქვამია, „ხუთ ხელზეა ბე[illegible] დაიმალებაო“. ამ დღეებში სათანადო ორგანოებს [illegible] ვ. გასვიანის ხელნაწერებიდან ხელნაწერები გაეცნო და ასეთი წარწერები: „უსახელო წერილი ჩემი ხელით არის დაწერილი, მიკარნახა ექიმმა ლადო გასვიანმა. ი. პოპოვა“.

ი. პოპოვას წარწერებმა ვ. გასვიანიც აიძულა ნამდვილი აღსარება ეთქვა.

ამას წინათ ჟურნალმა „პარტიულმა ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა პასუხი შეკითხვაზე: „როგორ მოვექცეთ უსახელო წერილებს და მათს ავტორებს?“.

„ როგორც წესი, — წერს ჟურნალი, — ანონიმურ წერილებსა და განცხადებებს გზავნიან ის ადამიანები, რომლებსაც ამოძრავებს არა ზრუნვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, არამედ სხვა მიზნები. მწრომელები კანონიერად უნდობლად ეკიდებიან ანონიმურ წერილებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანისათვის დამამცირებელი და შეუფერებელია. პატიოსანი ადამიანი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის ორგანიზაციისა და ცალკეულ პირთა მუშაობის ნამდვილ ნაკლოვანებათა მხილებისას არა მარტო ხელი მოაწეროს განცხადებას ან წერილს, არამედ პირადი მონაწილეობა მიიღოს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობენ, რომ ანონიმურ წერილთა საგრძნობ უმრავლესობას წერენ ადამიანები, რომელთათვის უცხოა საქმის ინტერესები, — მოკინკლავენი, კარიერისტები, ზოგჯერ კი მტრული ელემენტები, რომლებიც ანონიმურ წერილებს პროვოკაციული მიზნებით იყენებენ“.

ეს დასკვნა მთლიანად ემთხვევა ექიმ ვ. გასვიანის მოქმედებას.

28 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამოუსწორებელი ცილისმწამებელი, კარიერისტი და ობივატელი ვ. ი. გასვიანი გარიცხა პარტიის რიგებიდან.

* * *

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხშირად გვხვდება ანონიმური წერილები, რომელთა შემთხვევლებს — ცხოვრების სწორი გზიდან აცდენილ ადამიანებს ამოძრავებთ არა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, არამედ საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო მიზნები — კინკლაობა, კარიერისათვის ბრძოლა. ერთი ასეთი ცხოვრების სწორ გზას აცდენილი ექიმი ვ. ი. გასვიანი გამომჟღავნებულ იქნა. იგი პარტიამ სასტიკად დასაჯა თავისი ამორალური მოქმედებისათვის. ეს ფაქტი უნდა გახდეს მაგალითი და ჯკუის სასწავლებელი იმ ობივატელებისათვის, მოკინკლავეებისა და უსახელო წერილების წერის მანიით დაავადებულთათვის, რომლებიც აქა-იქ მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ბოგინობენ და ხელს უშლიან საწარმო-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა ადამიანებს ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომაში.

გ. ეკალაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო გაზეთის მკითხველის ამხ. ი. ტურაშვილის წერილი, რომელშიც აღძრული იყო დედაქალაქში წესრიგის დამყარების მნიშვნელოვანი საკითხები.

წერილი სათანადო ზომების მისაღებად გაეგზავნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს. წერილთან დაკავშირებით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოიწვია კომუნალურ საწარმოთა, ჯანმრთელობის დაცვისა და მილიციის ორგანოების მუშაკთა, მეეზოვეთა და დამგველთა თათბირი. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ქალაქის ქუჩებში სანიტარული წესრიგის დამყარების საკითხზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულების უზრუნველსაყოფად.

პარტიულ თემაზე

მეშახტე კომუნისტების საბრძოლო ამოცანა

ტყიბულელ მეშახტეთა მოწინავე კოლექტივმა მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე აიღო მუშაობის მაღალი ტემპი. მარტო განვლილ 7 თვეში ტყიბულქვანახშირის ტრესტმა დავალების გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 13,2 პროცენტით, ხოლო ტონა ქვანახშირი გაიაფა 1 მანეთითა და 76 კაპიკით. ამის შედეგად გაწეულია 930 ათასი მანეთის ეკონომია. ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებისა და საექსპლოატაციო უბნების კოლექტივებს წელს მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის რამდენჯერმე მიეკუთვნათ საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრკ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ფულადი პრემია.

ამ წარმატებათა მოპოვებაში თვალსაჩინოა შახტების პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების როლი. რაიონული კომიტეტი, სამხატო, საუბნო პარტიული ორგანიზაციები და პარტიული ჯგუფები ღრმად სწვდებიან საწარმოო ცხოვრებას, უზრუნველყოფენ მეშახტეთა მთელი კოლექტივის ღარაზმვას, დონბასელ და ტყვარჩელელ მეშახტეებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

ტყიბულელმა კომუნისტებმა, მეშახტეთა მთელ კოლექტივთან ერთად, საკავშირო მასშტაბით პირველებმა გაიჩაღეს ბრძოლა ქვანახშირის ამოღების ახალი, მეცნიერულად გამართლებული მეთოდის — ჰიდრავლიკური მეთოდის ასათვისებლად. ეს მეთოდი მთლიანად სპობს მიწისქვეშა ხანძრებს, საგრძნობლად ამცირებს ქვანახშირის დანაკარგებს და უსაშიშროს ხდის შრომას. ამ მეთოდით ტყიბულში დიდძალი ქვანახშირი იქნა მოპოვებული, რითაც უდავოდ დამტკიცდა მისი უპირატესობა ქვანახშირის ამოღების სხვა მეთოდებთან შედარებით. მაგრამ გასულ წელს მთელ რიგ შახტებში მუშაობის ახალ ღრმა ჰორიზონტზე გადატანასთან დაკავშირებით თავი იჩინა ზოგიერთმა დამატებითმა სიძნელემ. საჭირო იყო დაბრკოლებების გადალახვა და ჰიდრავლიკური მეთოდის კიდევ უფრო სრულყოფა. მაგრამ ასე როდი მოიქცნენ ზოგიერთი შახტისა და უბნების ხელმძღვანელები. მათ დაიწყეს ამ სიძნელეთა გაზვიადება. ზოგიერთ არაშორსმჭვრეტელ სამთო სპეციალისტთა წრეში განმტკიცდა აზრი, თითქოს ახალ, ღრმა ველებში შეუძლებელი იყოს ჰიდრავლიკური ვსების წესით მუშაობა. ეს ადამიანები დაადგნენ ჰიდრავლიკური ვსების ფრონტის თანდათანობით შემცირებისა და ძველი, ჩამორჩენილი წესით — სახურავის ჩამონგრევის წესით მუშაობის განახლების გზას.

ახალი მეთოდისადმი ასეთი არასწორი მიდგომა სასტიკად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობის ტრიბუნიდან და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. პარტიის ტყიბულის რაიკომსა და შახტების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დიდი მუშაობის გაწევა დასჭირდათ ქვანახშირის ამოღების პროგრესული მეთოდის დასანერგავად. პარტიის რაიკომმა გადაწყვიტა დაწვრილებით გასცნობოდა იმ სიძნელეებს, რომლებიც აფერხებდა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის შემდგომ სრულყოფას. გამოიყო კომისია მცოდნე, გამოცდილი ადამიანებისაგან. გამოირკვა, რომ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვასა და შემდგომ სრულყოფას სტალინის სახელობის შახტში აფერხებდა სავსები მასალის გამტარი ქსელის მოუწესრიგებლობა, მექანიზმების ხშირი ავარიები. შახტის ხელმძღვანელობა არასწორად ეწეოდა ქვანახშირის ფენების დამუშავებას. ლავებიდან ქვანახშირის გამოღების შემდეგ გამომუშავებულ სივრცეს ვეღარ ავსებდნენ. ეს კვეცავდა სამუშაო ფრონტის შემდგომი გაფართოების საშუალებას, იწვევდა დიდძალი მუშახელის დაბანდებას გამომუშავებული სივრცის შენახვაზე და მასალების გადახარჯვას.

რაიკომის ბიურომ შახტში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი. ბიუროს წიხადადებით შახტის კოლექტივის მთელი ძალები წარმართულ იქნა ცარიელი სამთო გამონამუშევრების ამოსავსებად, ამ მიზნით გაძლიერდა და გაუმჯობესდა იმ ბრიგადების შემადგენლობა, რომელიც სავსები მასალის ტრანსპორტირებას ემსახურებოდნენ. გადამწყვეტ უბნებზე, სადაც ყველაზე მეტი სიძნელეები იყო, კომუნისტები გავგზავნეთ. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად მართო მარტში ძველი დავალიანების დასაფარავად გამონამუშევარ სივრცეებში ჩაშვებულ იქნა 16.173 კუბური მეტრი სავსები მასალა. ამან შექმნა მოქმედი სანგრევის ხაზის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა. დაჩქარდა და მოკლე დროში დამთავრებულ იქნა დიდი სიგრძის დახრილი ცენტრალური შურის გაყვანა, რომელიც დამონტაჟდა ღრმა ჰორიზონტებზე მიმავალი სავსები მასალის მილგაყვანილობა. ამან დიდად გააუმჯობესა და გააიაფა შორეულ მანძილზე სავსები მასალის ტრანსპორტირება, დაჩქარა ვსების პროცესები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის.

ბიუროს დადგენილების შესაბამისად მიმდინარეობს სავსები მასალის სამარაგო საწყობის მოწყობის მუშაობა. ამ საწყობმა 1.500 კუბური მეტრი ასეთი მასალა უნდა დატოვოს. ეს ღონისძიება კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს ჰიდრავლიკური ვსების კომპლექსით მუშაობას. რაიკომის ბიუროს მითითებით მესამე ველი, რომელიც გათვალისწინებული გეგმით სახურავის ჩამოქცევის წესით უნდა გამომუშავებულიყო, გადაყვანილ იქნა ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით გამოღებაზე.

ამ ღონისძიებებით მნიშვნელოვნად შეიკვეცა სახურავის ჩამოქცევის წესით მუშაობა და თანდათანობით, ფართო გამოყენება ჰპოვა ჰიდრავლიკური ვსების წესმა. ამის შედეგად ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში ახლა ყოველდღე რამდენიმე ათეული ტონით მეტ ქვანახშირს იღებენ შარშანდელთან შედარებით.

ჰიდრავლიკური ვსების წესის საკითხების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კომუნისტებმა — სტალინის სახელობის შახტის მთავარმა ინჟინერმა ი. მამაცაშვილმა, ამავე შახტის მთავარმა მექანიკოსმა შ. კაკაბაძემ, მექანიკოსმა ს. ცირეკიძემ, ლენინის სახელობის შახტის უფროსმა ზ. ვაჭარაძემ და სხვებმა.

სამხატო პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე ხშირად ისმენენ უბნისა და ცვლის უფროსების, აგრეთვე ბრიგადირების ინფორმაციას სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, შრომისა და ტექნიკური უშიშროების წესების დაცვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების საკითხებზე.

უდავოდ საყურადღებოა ლენინის სახელობის შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ვ. ბრეგაძე) საქმიანობა. შარშან სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა იმ უბანმა, რომელსაც ა. დუმბაძე ხელმძღვანელობდა, დაიწყო ახალი მძლავრი მე-17 ველის საექსპლოატაციოდ მომზადება. მაგრამ მოსამზადებელი სამუშაოები თავიდანვე ნელი ტემპით წარმართა.

პარტბიუროს გადაწყვეტილება განეხილა მე-17 ველის ექსპლოატაციის დაწყების დაჩქარების საკითხი. საკითხის მომზადება დაევალა კომუნისტ ამხ. დ. ხვადაგიანს, რომელმაც სპეციალისტებთან ერთად დაწვრილებით შეისწავლა ეს საქმე. პარტბიუროს მიერ განხილვით გამოირკვა, რომ ველის მომზადების ჩამორჩენის მიზეზი ერთი მხრივ უბნის უფროსის ა. დუმბაძის მოუქნელი მუშაობა იყო. მან სწორად ვერ მოაწესრიგა შრომა, დაუშვა გამონამუშევრების უხარისხოდ გადამაგრება. მთხრელთა ბრიგადები დაკომპლექტებული არ იყვნენ კვალიფიციური მუშახელით. პარტბიუროს მდგომარეობის გამოსასწორებლად პრაქტიკული ღონისძიებები დასახა. მთხრელთა ბრიგადები გააძლიერეს. გადამწყვეტ სანგრევში სამუშაოდ გადაყვანილ იქნა ყველაზე მოწინავე მთხრელთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი დ. ფხაკაძე ხელმძღვანელობდა. მალე დამონტაჟდა მე-40 ჰორიზონტის შტრეკებში ქვანახშირის მომხვეტი ტრანსპორტიორი. ვსების უბნის უფროსობა კომუნისტმა შ. ერგემლიძემ მოკლე დროში დაამონტაჟა სავსები მასალის გამტარი მილგაყვანილობა.

ამ ღონისძიებათა საფუძველზე დაიწყო ახალი ველის ექსპლოატაცია, შახტში მნიშვნელოვნად გადიდდა ქვანახშირის ამოღება, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

მოლოტოვის სახელობის შახტში მიმდინარე წლის ექვს თვეში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 28,8 პროცენტით ამაღლდა. ამ წარმატების მოპოვებაში თვალსაჩინოა პარტიული ორგანიზაციისა და კომუნისტების როლი.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები არიან, ისინი ალაფრთოვანებენ მეშახტეთა კოლექტივს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. აქ განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სამთო მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებას, რაც შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა. პარტიული ორგანიზაცია თავის კრებებზე ხშირად განიხილავს მექანიზმების მოვლა-პატრონობის საკითხს. პარტბიუროს მითითებით შახტის ადმინისტრაცია მექანიზატორებად აწინაურებს ყველაზე გამოცდილ ადამიანებს. შახტში საუკეთესო მექანიზატორებად ითვლებიან კომუნისტები დ. სამსონოვი, ი. ცირეკიძე, ა. ცხადაძე და სხვები.

მოლოტოვის სახელობის შახტში წელს ფართოდ გაჩაღდა ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება უკრაინულ მეშახტეებთან. ეს პარტიული ორგანიზაციის კარგი მუშაობის შედეგია. კომუნისტები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას. მოწინავე მთხრელი, კომუნისტი ნ. თევდორაძე ეჯიბრება ამწუხენდთა ბრიგადის ბრიგადირს უკრაინელ ე. შმაკოვს, ხოლო სტახანოველი მთგრეველი რ. მუშკუდიანი — წარჩინებულ უკრაინელ მეშახტეს ი. შჩერბაჩენკოს.

უკრაინელებთან გაჩაღებული შეჯიბრების დამახასიათებელი ის არის, რომ მან გაამრავლა ნოვატორთა რიგები, მიწინაუმამდე დაიყვანა იმ მეშახტეთა რიცხვი, რომლებიც ნორმას ვერ ასრულებდნენ. მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მრავალი ახალი ადამიანი დაწინაურდა.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, მეშახტე კომუნისტებმა კარგად იციან, რომ ყველა რეზერვი და შესაძლებლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. არის ისეთი უბნები, ცვლები და ბრიგადები, რომლებიც საწარმოო გეგმას ვერ ასრულებენ, სუსტად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შესამცირებლად. ჩამორჩენილობა რიცხვი არიან საექსპლოატაციო უბნები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ი. ჯიქია, შ. ლაფერაძე, ს. გოცაძე და სხვები. ამ უბნებმა ვერ შეასრულეს ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალება. მოსამზადებელ სამუშაოებში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ სტალინის სახელობის და მოლოტოვის სახელობის შახტები. ამაში სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად ბრალი მიუძღვით პარტიის ტყიბულის რაიკომსა და საშახტო პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტად ეწევიან ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას მასებში.

ტყიბულელი კომუნისტების საბრძოლო ამოცანაა აღმოფხვრან ჩამორჩენა ცალკეული უბნებისა და ბრიგადების მუშაობაში, დაეხმარონ ჩამორჩენილთ და აიყვანონ ისინი მოწინავეთა დონემდე. ამ ამოცანის შესრულებისათვის ტყიბულის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას ყველა პირობა აქვს.

ეჭვი არ არის, ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც გამჭვალული არიან ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი უსაზღვრო ერთგულებით, კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მეტი ქვანახშირისათვის.

პ. ბაძრაძე,
საქ. კ. პ. ტყიბულის რაიკომის მდივანი.

მკაცრად დავსაჯოთ საკოლმეურნეო ქონების მითვისებლები და მათი ხელშემწყობნი

რამდენიმე ასეულ ჰექტარზეა გადაჭიმული სოფელ გეგუთის კოლმეურნეობის მინდვრები. კოლმეურნენი ღებენ სომინდის მოსავალს, პირუტყვის სანომუშოდ გამოზამთრებისათვის იმარაგებენ საკვებს, ეწევიან სადგომების შეკეთებას...

ბინდი ჩამოწვა. მთელი დღის ხალისიანი შრომის შემდეგ კოლმეურნეები შინ ბრუნდებიან. საკოლმეურნეო საქმის გულშემატკივარი - მოწინავე მშრომელები გზაში ერთმანეთს ესაუბრებიან. ამ საუბარს ჩვენც შევესწარით. მათ ერთი რამ აწუხებთ: სოფელ გეგუთის საკოლმეურნეო მინდვრები უხვმოსავლიანია, კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა ბეჯითად შრომობს, მაგრამ როგორც კოლმეურნეობის, ისე კოლმეურნეთა შემოსავალი ამ უკანასკნელ წლებში არ იზრდება.

რაშია საქმე?!

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უყურადღებობის შედეგად ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ წლების განმავლობაში სერიოზული დამახინჯებები და დარღვევებია. ეს საგრძნობია შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის დარგში. ვხვდებით საკოლმეურნეო ქონებისა და მიწების განიავების ფაქტებს.

ეს კოლმეურნეობა რაიონის ცენტრიდან არც ისე შორს არის. აქ ხშირად მოდიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. მაგრამ სიფუძვლიანად არ სწავლობენ კოლმეურნეობის მუშაობას, მის ეკონომიკას. ამ მდგომარეობით სარგებლობენ ბოროტმოქმედნი, რომლებიც საკოლმეურნეო ქონებაში ისე აფათურებენ ხელს, როგორც საკუთარ ჯიბეში.

რამდენიმე მაგალითი: კოლმეურნეობამ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის თანამშრომელს ჰეჰიკო ლომიძეს საკოლმეურნეო ვენახიდან მისცა 3.750 მანეთის ღირებულების 1.500 კილოგრამი ყურძენი, ვითომც ურთიერთანგარიშზე და თანაც პირველ წელს ლომიძე აიყვანა დებიტორად. როგორც გამოირკვა, ლომიძესა და კოლმეურნეობას შორის არავითარი ურთიერთანგარიში არ იყო. მან ყურძენი ნისიად წაიღო. შარშან ლომიძეს ეს თანხა კოლმეურნეობის გამგეობისა და კოლმეურნეთა საერთო კრების დაუკითხავად ჩამოაწერეს როგორც უიმედო დებიტორს. ასევე მოიქცნენ ქუთაისშენის ტრესტის თანამშრომელ მოსე ზიგზივაძის მიმართ, რომელსაც 4.542 მანეთი მართებს, ტყავნედლეულის დამზადების კანტორის თანამშრომელ ნესტორ კილაძის მიმართ (მართებს 2.500 მანეთი). ეს შემთხვევები გამონაკლისი როდია.

საკითხავია, რა უფლებით ჩამოაწერეს დავალიანება აღნიშნულ პირებს. როგორც უიმედო დებიტორებს, ისინი ხომ ცოცხალი ადამიანები არიან და მუშაობენ სულ ახლოს — ქალაქ ქუთაისში?

არასწორი ანგარიშსწორების შედეგად კოლმეურნეობაში შრომადღეებზე ზედმეტად გაცემულია 650 ცენტნერზე მეტი მარცვლეული. ასე ხდება იმ დროს, როცა კოლმეურნეებს ე. ბოდოკიას, ე. ფესტვენიძეს და მრავალ სხვას ჯერ კიდევ არ მიუღიათ შრომადღეებზე კუთვნილი პროდუქტები.

პარტიის ქუთაისის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომში სიგნალები შედიოდა ამის შესახებ, რომ სოფელ გეგუთის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონების დატაცება, მითვისება ხდება. კოლმეურნეთა სიგნალების საფუძველზე რაიონის ხელმძღვანელებმა შეისწავლეს კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში გაფლანგული და გატაცებული იყო 105.524 მანეთი. ეს საკითხი პარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა. კოლმეურნეობის ბუხჰალტერი სათანადოდ დაისაჯა, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. ფესტვენიძეს დააკისრეს კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის 29.124 მანეთის გადახდა. ფესტვენიძე თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს.

კოლმეურნეობაში აირჩიეს ახალი თავმჯდომარე ი. იაშვილი. იგი პირველი დღიდანვე უცნაურად მოიქცა. კოლმეურნეებს ვ. გაბედავას, ა. ყუბანეიშვილს, ვ. ბერაძეს, ფ. ფესტვენიძეს, პ. დათიაშვილს, ს. ბრეგვაძეს, პ. მუშკუდიანს და სხვებს დააწერინა განცხადება, ვითომ ისინი კოლმეურნეობის გამგეობას სთხოვენ ჩამოაწეროს მათს შრომადღეებზე კუთვნილი ფული და ჩაურიცხოს კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ე. ფესტვენიძეს დავალიანების დასაფარავად. ამ განცხადებებს ახალმა თავმჯდომარემ ი. იაშვილმა ასეთი რეზოლუცია დააწერა: „ბუხჰალტერს. ჩამოაწერეთ კოლმეურნეებს კუთვნილი შრომადღის ფული და დააწერეთ ი. ფესტვენიძეს ვალში“(!). ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა ანგარიშწარმოების მუშაკებმაც მიიღეს. მაგალითად, ბუხჰალტრის მოადგილემ კონსტანტინე მაჩაველმა განცხადება დაწერა, ვითომც მას კოლმეურნეობისაგან 500 მანეთი ერგებოდა და ეს თანხა ი. ფესტვენიძეს ჩაურიცხეთო. ფაქტიურად იმ დროისათვის მას არავითარი ფული კოლმეურნეობისაგან არ ერგებოდა. ასეთი განცხადების გზით 18.308 მანეთი ვითომ ფესტვენიძეს მისცეს სესხად ვალის დასაფარავად, ქუთაისის რაიონის პროკურატურას კი აცნობეს, ი. ფესტვენიძემ დავალიანება 29.124 მანეთი მთლიანად დაფარაო. ფაქტიურად არც ერთი კოლმეურნისათვის ფული არ დაუკავებიათ.

რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა ეს ფაქტი რატომღაც ვერ შეამჩნიეს. ფაქტიურად ი. ფესტვენიძეს დავალიანებიდან 13.522 მანეთი მიმდინარე წლის 13 სექტემბრისათვის დაუფარავი ჰქონდა. ამ საქმით არც რაიონის პროკურორი ამხ. ვ. ტაბატაძე დაინტერესებულა.

შარშან ნოემბერში კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეამოწმა ღვინის საწყობის გამგის შ. კილაძის მუშაობა. გამოირკვა, რომ კილაძეს 6.696 მანეთის ღვინისა და არყის დანაკლისი ჰქონდა. ამაზე აქტიც შეადგინეს. აქტს ხელს აწერდნენ: თვითონ ბრალდებული, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და სხვ.

საჭირო იყო სარევიზიო კომისიის მასალების განხილვა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, მაგრამ ბრალდებულ კილაძეს არ აწყენინეს, „ჩვენი კაციაო“. საკითხი არ განხილულა. ამ ბოროტმოქმედების შესახებ არც სათანადო ორგანოებს აცნობეს.

არსებულ ცნობებს თუ დავუჯერებთ, კოლმეურნეობაში ასრულებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმებს. მაგრამ რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ერთხელაც არ დაინტერესებულან გამოერკვიათ, თუ რა გზით ასრულებენ ამ გეგმებს კოლმეურნეობაში. სინამდვილეში აქ თვალსაჩინოდ მიმართავენ. გეგმების შეძენილი პირუტყვით ანაღდებენ, რისთვისაც შრომადღეზე გასანაწილებელ პროდუქტებს ყიდიან. მარტო შარშან ასეთი წესით შეისყიდეს 41 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 14 ღორი, ფუტკარი, ქათმები და სხვ. შესყიდულ საქონელზე სათანადო აქტები არ არის. თვითონ კოლმეურნეობის მოანგარიშე კ. მაჩალაძე ხელს უწყობს თვალისახვევას. მაგალითად, მან საკუთარი დეკეული ფიქტიურად აიყვანა კოლმეურნეობის შემოსავალში და ამით ხელოვნურად გაადიდა პირუტყვის სულადობა. ფაქტიურად მას არც ფული მიუღია და არც დეკეული ჩაუბარებია კოლმეურნეობისათვის, სამი თვის შემდეგ დეკეული კვლავ ჩამოსწერა.

კოლმეურნეობაში კვლავ გრძელდება საზოგადოებრივი მიწების მითვისება.ამას ხელს უწყობენ პარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. მაგალითად, წელს საგაზაფხულო თესვის დროს კოლმეურნეობაში რაიკომიდან მომაგრებული იყო პარტიის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ი. ხურციძე (მაშინ მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო). მას მოეწონა გეგუთის საკოლმეურნეო მინდვრები და ახლანდელ თავმჯდომარეს ამხ. კ. მიქაუტაძეს დაავალა დაეთესათ მისთვის სიმინდი 0,25 ჰექტარზე. დავალება შესრულებულ იქნა. თავმჯდომარემ მეცხრე ბრიგადის ხელმძღვანელს გ. სირაძეს დაავალა ამხ. ხურციძისათვის გამოეყო საბოსტნე ნაკვეთი და დაეთესა სიმინდი 0,25 ჰექტარზე. ბრიგადირმა კოლმეურნე ა. შალამბერიძეს დაათესინა სიმინდი იმ პირობით, რომ შემდეგ ამხ. ხურციძე მას მისცემდა ჩალას.

გამოირკვა ისიც, რომ ამხ. ი. ხურციძეს ქუთაისის მტს-ის ტერიტორიაზეც ჰქონია 1.070 კვადრატული მეტრი საბოსტნე მიწის ნაკვეთი, (საბუთების მიხედვით 500 კვადრატული მეტრია), რომელზეც სიმინდი უთესია. მასვე მტს-ის დამლაგებელ შ. ასათიანისათვის მიუბარებია ერთი ღორი, რომელსაც თვითონ ასათიანი თავისი საკვებით ზრდიდა.

როგორ იბრძვის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად? ამჩნევს თუ არა ამ ნაკლოვანებებს? სამწუხაროდ, არა. აქ 132 კომუნისტია. მიუხედავად ამისა, პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში გამეფებულია ფორმალიზმი, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ცუდად მუშაობს, სათანადო კონტროლს ვერ უწევს კოლმეურნეობის საქმიანობას.

პარტიის ქუთაისის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ამ კოლმეურნეობისადმი ზემოქმედების ადმინისტრაციულ მეთოდებს იყენებენ, რის გამო სოფელ გეგუთის კოლმეურნეობაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამი თავმჯდომარე შეიცვალა. თავმჯდომარესთან ერთად იცვლება ბუხჰალტერიც.

შეცვლილი თავმჯდომარე კოლმეურნეთა საერთო კრებას ანგარიშსაც არ აბარებს. ბუხჰალტერიც კი, რომელსაც მთელი კოლმეურნეობის ქონების აღრიცხვა ევალება, ისე მიდის კოლმეურნეობიდან, რომ ახალ მოსულ ბუხჰალტერს არავითარი საკოლმეურნეო საბუთებს არ ჩაბარებს.

ასევე ყოველწლიურად სცვლიან კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს.

უფრო მეტიც. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შარშან მიიღო სიგნალი სოფელ გეგუთის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე. რაიკომმა კოლმეურნეობის მუშაობის შემოწმება დაავალა რაიონის ინსტრუქტორ-ბუხჰალტერს ამხ. დ. ასათიანს. მან ჯერ კიდევ შარშან ივლისში დაიწყო შემოწმება, იმუშავა რამდენიმე დღე. კოლმეურნეებმა მას აცილება მისცეს. შემდეგ თვითონ ასათიანმა კოლმეურნეობაში შემოწმებაზე გაგზავნა ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი რ. მიქაუტაძე, ბუხჰალტრები დ. ლომიძე, უ. ყიფიანი, ვ. ხოპოხიძე, ა. შინგელია და სხვები. აღნიშნულმა პირებმა კოლმეურნეობაში 6 თვე დაჰყვეს სარევიზიოდ, კოლმეურნეები მოაცდინეს. საბოლოოდ კი „ვირაფერი“ ნახეს(!). ამბობენ, თავი ვერ მოუხსნიათო.

როგორ მუშაობენ ამ მხრივ რაიონის პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები? აშკარად არადამაკმაყოფილებლად. აი ფაქტი. გეგუთის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობაზე წელს თებერვალში საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც შესამოწმებლად გადაეგზავნა ქუთაისის რაიონის პროკურორს ამხ. ტაბატაძეს. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

პროკურორი ამხ. ტაბატაძე წერს: „განცხადებაში აღნიშნული ფაქტების შემოწმება ჩვენთვის შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდან აღნიშნული კოლმეურნეობის სბუხჰალტრო საბუთები გადაბარებული არ იყო ახალ დანიშნულ ბუხჰალტერზედ. საბუთები ინახება დაკეტილ ყუთში... დოკუმენტალური რევიზიის შედეგად გამოვლინებული აქტის გამოგზავნა ქუთაისის მტს-ის ინსტრუქტორ-ბუხჰალტერმა დ. ასათიანმა დააგვიანა, რის გამო იგი ჩვენს მიერ გაფრთხილებულ იქნა აქტის დროულად გადმოგზავნაზედ“. (სტილი უცვლელია. შ. ჯ.).

აი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია კოლმეურნეთა შრომადღეებზე გასანაწილებელი ფულისა და პროდუქტების საგრძნობლად შემცირება. 1950 წელთან შედარებით შრომადღის ხვედრი 2 კილოგრამი მარცვლეულით შემცირდა. შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეებისათვის ფული წელს სულ არ მიუციათ. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი შარშან არ გამოუმუშავებია 305 ჯაცს. ამ მხრივ წელსაც ვერ არის კარგი მდგომარეობა.

გეგუთის კოლმეურნეობა თავისი მძლავრი ეკონომიკით განთქმული იყო მთელ ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ ამ კოლმეურნეობისადმი პარტიის ქუთაისის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და ქუთაისის მტს-ის მუშაკების ზერელე ხელმძღვანელობის შედეგად კოლმეურნეობა ჩამორჩა და მისი ეკონომიური მაჩვენებლები შემცირდა.

ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ გადაუდებელ ამოცანად დააყენეს კოლმეურნეობათა ეკონომიურად გაძლიერება, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონემდე აყვანა, განა შეიძლება მოვითმინოთ საკოლმეურნეო დოვლათის განიავების ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები? პარტიის ქუთაისის რაიკომმა (მდივანი ამხ. დ. ბეშკენაძე) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ლ. ტაბიძე) უნდა მიიღონ ეფექტიანი ღონისძიებანი გეგუთის კოლმეურნეობაში სრული წესრიგის დასამყარებლად, საზოგადოებრივი მეურნეობის განსამტკიცებლად. საკოლმეურნეო სიმდიდრის გამნიავებლები, მითვისებლები და მათი ხელშემწყობნი მკაცრად უნდა დაისაჯონ.

შ. ჯოჯუა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ხელოვნების ქრონიკა

გაიხსნა სოხუმის თეატრის სეზონი

25 სექტემბერს გაიხსნა სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სეზონი. წარმოდგენილ იქნა ნაზიმ ჰიქმეთის პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“.

სოხუმის ქართული დრამის თეატრის მიერ 1954-55 წლის სეზონში ნაჩვენები იქნება ბალაბანისა და სობკოს პიესა „ასი მილიონი“, ფ. შილერის — „ვერაგობა და სიყვარული“, ლ. ჰუბაბრიას „კარგი ამხანაგი“, კ. ბუაჩიძის — „ეზოში ავი ძაღლია“, ვ. ჰიუგოს — „განკიცხული“, ო. უაილდის — „პადუას დედოფალი“, უ. შექსპირის — „რომეო და ჯულიეტა“, ი. მოსაშვილის — „გზა მომავლისა“, მ. გორკის — „ბარბაროსები“, მ. ბარათაშვილის — „მაღალი ოცნება“, ე. ვოინიჩის — „კრაზანა“.

წელს ცალკეული დადგმებისათვის მოწვეულ იქნებიან ცნობილი რეჟისორები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ს. ჭელიძე, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ჟურული და ვ. ტაბლიაშვილი, აგრეთვე მხატვრები — სტალინური პრემიის ლაურეატი ფ. ლაპიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ე. ახვლედიანი და დ. თავაძე.

პიესაში „ლეგენდა სიყვარულზე“ მონაწილეობის მისაღებად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან მოწვეულია სტალინური პრემიის ლაურეატები ვ. ანჯაფარიძე, ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი და გ. შავგულიძე.

წელს თეატრი გასვლით სპექტაკლებს მოაწყობს აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში.

ნ. მიქაშავიძე.

ძველი მსახიობის შემოქმედებითი საღამო

გასული საუკუნის დასასრულს დაიწყო თავისი სამსახიობო მოღვაწეობა ელენე ჩიქოვანმა. პირველად იგი როგორც სცენისმოყვარე გამოვიდა 1898 წელს ქუთაისის პროფესიულ თეატრში, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი მსახიობი ლადო მესხიშვილი.

ქუთაისის თეატრში იგი მუშაობდა 1907 წლამდე და ითვლებოდა ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობად.

მთელი მისი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე მთავარი და ღირსშესანიშნავი ის არის, რომ იგი 1910 წლიდან დიდი ხნის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობდა თბილისის მაშინდელი ნაძალადევის მუშათა თეატრში (ახლანდელი პლეხანოვის სახელობის კლუბი), სადაც ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან მსახიობად. ამ თეატრის სცენაზე მან განახორციელა ისეთი საინტერესო სცენიური სახეები, როგორიც არის ზეინაბი — „ღალატში“, ქეთევანი — „სამშობლოში“, ამალია — „ყაჩაღებში“, მარინე— „და-ძმაში“ და მრავალი სხვა.

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბში, სადაც ე. ჩიქოვანმა დაჰყო თავისი სიცოცხლის მრავალი წელი, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და კლუბის გამგეობამ 72 წლის ჭაღარამოსილ მსახიობს შემოქმედებითი საღამო გაუმართეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. დადიანმა.

ე. ჩიქოვანის შემოქმედება დამსწრეთ გააცნო თეატრმცოდნე ე. დავითაიამ.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ძველი სცენისმოყვარეები გ. გაბინაშვილი, ს. გოგიშვილი, ვ. კუდუხაშვილი, ქ. ლორია და ვ. სადუნიშვილი. ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სტახანოველმა ბ. სუხიაშვილმა.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში ე. ჩიქოვანის (ქრისტინე) და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ბ. ირეთელის პიესა „ქრისტინეს“ მეოთხე მოქმედება.

გ. ძნელაძე.

შეხვედრა პირველ ქართველ კინოოპერატორ ვ. ამაშუკელთან

სამტრედია. (საკ. კორ.). ამ დღეებში კულტურისა და დასვენების პარკში სამტრედიის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყეს პირველ ქართველ კინოოპერატორს ვასილ ამაშუკელს. ვ. ამაშუკელი ავტორია კინოფილმისა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“. შეხვედრაზე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, მოხსენება ვასილ ამაშუკელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ. სიტყვები წარმოთქვეს რაიონის კულტურის სახლის მუშაკმა ა. ერქვანიძემ, მასწავლებელმა ნ. კოპალეიშვილმა და მსახიობმა დ. ჩაჩუამ.

დამსწრეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ვ. ამაშუკელის მოგონება „როგორ გადავიღე ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“. დასასრულ ნაჩვენები იქნა აღნიშნული კინოფილმი.

ხალხური სიმღერების ჩაწერა რაჭაში

მიმდინარე წლის ზაფხულში ამბროლაურის რაიონის სოფლებს ეწვია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია მუსიკათმცოდნე ო. ჩიჯავაძის ხელმძღვანელობით.

რაჭეს ხალხური სიმღერების შესწავლისა და შეკრების სამუშაოებს დღემდე ცალკეული პირები (დ. არაყიშვილი, გ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი) აწარმოებდნენ. წელს ექსპედიციაში მონაწილეობას იღებდნენ სავუნდო დირიჟორები — ა. კავსაძე, მ. ჯანაშია, გ. ბაქრაძე, ისტორიკოსები — რ. კილაძე, თ. კაშაია, კომპოზიტორი მაღრაძე და სხვები, რომლებმაც სოფლებში სადმელში, ხვანჭკარაში, ლიხეთში, ჭელაღელესა და ამბროლაურში 32 ხალხური სიმღერა ჩაწერეს, რაც საფუძვლად დაედება ამ კუთხის ხალხური სიმღერების არა მარტო კრებულს, არამედ დიდი მნიშვნელობა ექნება მუსიკალურ-ეთნოგრაფიული ხასიათის განმაზოგადებელი მეცნიერული შრომებისათვის.

სოფელ სადმელის სიმღერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ალიგამა“ და სოფელ სადმელის წარმოშობის სიმღერა „და ის ვინც გაქებდა“.

სოფელ ლიხეთში ჩაწერილ იქნა სიმღერები — „დავხედე რიყე მეგონა“, „შაო ყურშაო“, „ამირანი და ელხოსიე“, რომლებიც მხოლოდ ლიხეთშია შემორჩენილი ძველთაგანვე.

ალექსანდრე აბაშელი

გარდაიცვალა მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი, ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტი ალექსანდრე ბესარიონის-ძე აბაშელი.



ალ. აბაშელი დაიბადა 1884 წელს აბაშის რაიონის სოფელ საჩოჩიოში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამით ადრე დაობლებულმა ალექსანდრემ პირველდაწყებითი განათლება აბაშის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. აქედან იგი გადაჰყავთ ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში, მაგრამ დედის გარდაცვალებისა და ხელმოკლეობის გამო მალე სწავლას თავს ანებებს და სოფელს უბრუნდება. ამის შემდეგ აბაშელი მუშაობს ფოთში, ბორჯომში, ხოლო 1904 წლიდან — ბათუმის როტშილდის ქარხანაში, სადაც რევოლუციურ მოძრაობაში ებმება.

1906 წელს თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის აბაშელი დაპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს, საიდანაც ხუთი თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიის ქ. სოლვიჩეგოდსკში, იქიდან კი ქ. ენოტაევსკში. 1908 წელს გადასახლებიდან გამოქცეული აბაშელი თბილისს ჩამოვიდა. აქაც იგი რამდენჯერმე დაპატიმრეს. 1913-14 წლებში იგი ისმენს ლექციებს მოსკოვის შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში.

ალ. აბაშელის პირველი ლექსი ი. პარნასელის ფსევდონიმით დაიბეჭდა 1909 წელს გაზეთ „დროებაში“. მისი ლექსების პირველი წიგნი „მზის სიცილი“ გამოვიდა 1913 წელს, მეორე წიგნი „ანთებული ხეივანი“ — 1923 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოეტი მუშაობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებსა და გამომცემლობებში. 1921-32 წლებში ხელოვნების მთავარი კომიტეტის სალიტერატურო სექციის გამგეა. 1924 წლიდან მუშაობას იწყებს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ და დიდი წვლილი შეაქვს ქართველი მწერლების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნისა და პროპაგანდის საქმეში. ერთხანს იგი მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ.

ალ. აბაშელის რედაქტორობით და თანამშრომლობით დაიბეჭდა ქართველი კლასიკოსების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას აკადემიური გამოცემები.

ალექსანდრე აბაშელი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრია. დიდი დრო ამ ორგანიზაციის დაარსებიდან 1932 წლამდე იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1929 წელს გამოდის პოეტის მესამე წიგნი „გაბზარული სარკე“, უფრო გვიან კი — მეოთხე წიგნი „მზე და სამშობლო“.

ალ. აბაშელმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო რეაქციის მძიმე წლებში. რეაქციისა და მსოფლიო ომის შავბნელმა დრომ თავისი დაღი დაასვა პოეტის შემოქმედებას. მის პოეზიაში გამოვლინება ჰპოვა რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა სევდიანმა განწყობილებამ, მაგრამ მას კავშირი არ გაუწყვეტია ქართული მწერლობის რეალისტურ, დემოკრატიულ-რევოლუციურ ნაკადთან.

სოციალისტური მშენებლობის დიდმა წარმატებებმა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ისტორიულმა პროცესებმა თავისი გავლენა მოახდინეს ალ. აბაშელის შემოქმედებაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი, როგორც შემოქმედი, ჩვენი სამშობლოს გულწრფელი, მგზნებარე მომღერალი გახდა; მან შექმნა ღრმად შთაგონებული ლირიკული ლექსები.

ალ. აბაშელის პოეზია მთელი გულწრფელობითა და მგზნებარებით ამეტყველდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. პოეტი თავისი მებრძოლი ლირიკით გვერდში ამოუდგა საბჭოთა ხალხს და მთავრონებულად უმღერა ჩვენი ხალხის გამარჯვების საქმეს. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ალ. აბაშელის პოეზია კვლავ მისთვის ჩვეული მძლავრი შემოქმედებითი პათოსით უმღეროდა ჩვენი ხალხის გმირულ შრომას, ხალხთა შორის მშვიდობას.

ალ. აბაშელი საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის თანაავტორია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ალ. აბაშელის დამსახურება. 1944 წელს მას გადაუხადეს დაბადების 60 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლის იუბილე. იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ალ. აბაშელი იყო გულისხმიერი მეგობარი, გულთბილი და გულწრფელი ამხანაგი, უანგარო, პატიოსანი მოქალაქე და პოეტი. საბჭოთა მკითხველები მუდამ დიდი მადლიერების გრძნობით მოიგონებენ თავიანთ საყვარელ პოეტს, ხოლო მეგობრების გულში მისი ნათელი ხსოვნა არასოდეს არ წაიშლება.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

პოეტ ალექსანდრე ბესარიონის-ძე აბაშელის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

პოეტ ა. ბ. აბაშელის ხსოვნის უკვდავსაყოფად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. ა. ბ. აბაშელი დაიკრძალოს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2. 1955-1956 წლებში ქართულ ენაზე გამოიცეს ა. ბ. აბაშელის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული.

3. დაენიშნოს პერსონალური პენსია პოეტ ა. ბ. აბაშელის ქვრივს — ეკატერინე ევსეის ასულ აბაშელს და მიეცეს განსვენებულის ოჯახს ერთდროული ფულადი დახმარება.

წერილი რედაქციას

ერთი საველეფონო დავალების შესახებ

15 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, სტალინირის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში შევიარე.

— გორს მინდა დაველაპარაკო! — მივმართე ექსპედიტორ სოფიო მაისას.

— როდის გსურთ ლაპარაკი?

— ხვალ დილით, 10 საათამდე, თუ შეიძლება.

— დღის 2 საათამდე არაფერი იქნება.

მეტი რა გზა იყო. მოვეცი დავალება.

მეორე დღეს ზუსტად ორ საათზე გამოვცხადდი მოსალაპარაკებელ სადგურში. იქ ჩემს მეტი კლიენტი არ ჩანდა. გამეხარდა, მალე მოვათავებ საუბარს-მეთქი. ექსპედიტორ ს. მაისას ვაცნობე ჩემი მისვლა. მან ფული წინასწარ გადამახდევინა, და შემპირდა, რომ დანიშნულ დროზე გორთან დამალაპარაკებდა.

15 წუთის შემდეგ მივაკითხე:

— რატომ გვიანდება. აქ ხომ ჩემს მეტი კლიენტი არავინ არის? გთხოვთ დააჩქაროთ.

კვლავ დაპირება.

გავიდა ნახევარი საათი. ის იყო უკან გაბრუნება გადავწყვიტე, რომ ტელეფონის ზარის ხმა შემომესმა. მოვრიგე ტელეფონისტი ს. არეშიძე ელაპარაკებოდა ექსპედიტორს. ამ უკანასკნელმა გადმომცა არეშიძის გაფრთხილება, გორი მალე იქნებაო.

გავიდა 50 წუთი. მეტი ლოდინი უაზრო იყო, ვინაიდან ის, ვინც გამოძახებული მყავდა, ადგილზე აღარ იქნებოდა.

განაწყენებულმა პირველ რიგში ს. არეშიძეს ვუსაყვედურე. მან ასე მიპასუხა:

— შუადღის საათებში გორთან ლაპარაკი არა გვაქვს. ეს სულ ექსპედიტორის ბრალია, დავალება არ უნდა მიეღო.

ნამდვილად დავალების მიღების დროს სწორედ არეშიძე მუშაობდა და მეორეც (ეს კი მთავარია), განა ასე ერთიმეორეზე გადაბრალებით შეიძლება ვინმეს ვაპატიოთ კლიენტების ამბუჩად აგდება?

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები სტალინირში იშვიათი როდია.

ა. მაისურაძე.

ასობით ტონა ახალი ხილი მოსკოველებს

სამტრესტი, საქკონსერვტრესტი და ცეკავშირი ყოველდღიურად რამდენიმე ვაგონ ყურძენსა და ვაშლს გზავნიან საქვაჭრობის მოსკოვის მაღაზია „საქართველოს“ და მისი ფილიალების მისამართით. ერთ-ერთი ასეთი ფილიალი გახსნილია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სექტემბრის განმავლობაში სამტრესტის ვენახებიდან უკვე გაგზავნილია 150-მდე ტონა საუკეთესო ყურძენი „თავრიზი“, „შასლა“, „რქაწითელი“ და სხვ. ამდენივე ვაშლი გაიგზავნა სამტრესტის ქიშნისის, ვარიანისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებიდან. 100 ტონაზე მეტი საუკეთესო ჯიშის ვაშლი გაგზავნეს საქკონსერვტრესტმა და ცეკავშირმა.

20 ტონაზე მეტი კონსერვირებული პროდუქცია — ტომატი-საწებელა, ტყემალი, მურაბა, დანდური გაგზავნა მოსკოვში თბილხილბოსტანავჭრობამ.

ამჟამად მოსკოვში გასაგზავნად მზადდება 300 ტონაზე მეტი სხვადასხვა თესლოვანი ხილი, 100 ტონამდე სუბტროპიკული ხურმა, 50 ტონა ყურძენი, აგრეთვე მრავალნაირი კონსერვი და ხილ-ბოსტნეულის სხვა ნაწარმი.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის არასავაჭრო გადასახდელების შესახებ

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის არასავაჭრო გადასახდელების შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ი. დ. ზლობინმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მ. შიდტმა.

ხელი მოაწერეს კომპენსაციურ შეთანხმებას საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის საბაჟო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციების და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საკავშირო პალატის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 1 ოქტომბერს ბელგრადში ხელი მოაწერეს კომპენსაციური შეთანხმების სქემების ურთიერთმიწოდების შესახებ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის.

ამ შეთანხმების თანახმად სსრ კავშირი იუგოსლავიას მიაწვდის ნავთობს, ბამბას, მარგანეცის მადანს, ანტრაციტს, გაზეთის ქაღალდს, იუგოსლავია სსრ კავშირს მიაწვდის ხორცს, ქერქელს, თამბაქოს, კაუსტიკური სოდას, კალცინირებულ სოდას, ეთილის სპირტს, კალციუმის კარბიდს.

საქონლის ძირითადი რაოდენობა ორივე მხრივ მიწოდებული იქნება მიმდინარე წლის დამლევამდე.

ა. ი. ვიშინსკის წერილი გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ამით პატივი მაქვს გთხოვოთ, რომ გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის დღის წესრიგში შეიტანოთ როგორც დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი პუნქტი „შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ“.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, გასცეთ განკარგულება, რომ თანდართული პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე გავრცელდეს როგორც გენერალური ასამბლეის ოფიციალური დოკუმენტი“.

აფეთქება დასავლეთ გერმანიის სამხედრო ქარხანაში

ბერლინი, 30 სექტემბერი. (საკდესი). აღნის სააგენტოს ცნობით, გუშინ პიროტექნიკური საშუალებათა დამამზადებელ ქარხანაში ზეკახის მახლობლად (დასავლეთი გერმანია) ძლიერი აფეთქება მოხდა. მოკლულია ერთი მუშა ქალი; 6 მუშა მძიმედ დაიჭრა.

გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესია

30 სექტემბრის დღის პირველადი სხდომა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინდონეზიის, საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა.

ინდონეზიის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნარიომ კმაყოფილება გამოთქვა იმ მუშაობის შედეგების გამო, რომელიც ქენევის თათბირმა შეასრულა ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის და „იმ ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის უფლების აღიარებისათვის, რომელიც დიდხანს იმყოფებოდა კოლონიური ბატონობის პირობებში“. ქენევის მოლაპარაკებამ, განაგრძო ინდონეზიის წარმომადგენელმა, „განაახლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების იმედი“.

აღნიშნა რა, თუ რა უდიდესი საფრთხე მოელის მშვიდობას და კაცობრიობის არსებობას იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება „მსოფლიო ატომური ომის“ საფრთხე, ინდონეზიის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო კონტროლს ატომის ენერგიისადმი და „იმასაც კი, რომ საფუძვლად აიკრძალოს ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა ზეთანამედროვე სახეობის იარაღი“. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ინდონეზიის დელეგაციამ „უდიდესი ინტერესით მოისმინა“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადება ბასული წლის დეკემბერში და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადება ახლანდელ სესიაზე იმის შესახებ, რომ შეიქმნას ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანო.

ინდონეზიის წარმომადგენელმა უარყოფითი აზრი გამოთქვა სხვადასხვაგვარი სამხედრო კავშირებისა და რეგიონალური დაჯგუფებების შექმნის შესახებ და განაცხადა, რომ ინდონეზიას განზრახული აქვს განზე გაუდგეს ასეთ კავშირებსა და დაჯგუფებებს. „ვახორციელებთ რა აქტიურ დამოუკიდებელ — და არა უბრალოდ ნეიტრალურ-სხვარეო პოლიტიკას, — განაცხადა სუნარიომ, — არ ვემხრობით რა არც ერთ მხარეს „ცივ ომში“, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ უფრო ეფექტიანად შევუწყოთ ხელი ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საქმის დამთავრებას“.

მან თქვა, რომ ინდონეზია იმ თვალსაზრისზე დგას, რომ შესაძლებელი და საჭიროა ყველა ხალხისა და ერის მშვიდობიანი თანაარსებობა. თანამედროვე პირობებში, — დასძინა სუნარიომ, — „მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დადებითი კონცეპციის მიღებით შეუძლია მსოფლიოს გააკეთოს ახალი მნიშვნელოვანი ეკონომიური და სოციალური ძვრები მოლაპარაკების საშუალებით“. „ბაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობა და მოლაპარაკება, — განაგრძო მან, — ამასთანავე მოითხოვს ურთიერთპატივისცემას და ურთიერთნდობას თანასწორობის საფუძველზე“.

ინდონეზიის დელეგატმა მოითხოვა, რომ გაფართოვდეს ეკონომიური დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი, და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საჭიროა ამ ქვეყნების მრეწველობის განვითარება. ამასთან დაკავშირებით მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა დაცულ იქნას საერთაშორისო ბაზრების სტაბილობა და ფასები და მოისპობის ბარიერები, რომლებიც იქმნება პოლიტიკური მოსაზრებებით და რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე. ინდონეზიის წარმომადგენელმა მოუწოდა გენერალურ ასამბლეას გამონახოს იმის გზები და საშუალებანი, რომ საერთაშორისო ვაჭრობა განვითარდეს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის სულისკვეთებით და არ ხდებოდეს რაიმე ხელოვნური შეზღუდვა.

ინდონეზიის დელეგატმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია კოლონიალიზმის, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფრთხის საკითხს. ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ინდონეზიის დელეგაციამ მხარი დაუჭირა იმას, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანონ ტუნისისა და მაროკოს საკითხი. სუნარიომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დასავლეთ ირიანის (ახალი გვინეის დასავლეთი ნაწილის) პოლიტიკური სტატუსის საკითხს, რომელიც ინდონეზიის დელეგაციამ დააყენა ახლანდელი სესიის დღის წესრიგში. ინდონეზიის დელეგატმა მკვეთრად გააკრიტიკა გამოსვლა ავსტრალიის წარმომადგენლისა, რომელიც იცავდა ჰოლანდიის კოლონიურ პრეტენზიებს დასავლეთ ირიანისადმი.

შეეხო რა გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას, მან თქვა, რომ ინდონეზია „კვლავაც უჭერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობას გაეროთიანებული ერების ორგანიზაციაში“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობა გაეროთიანებული ერების ორგანიზაციაში ახლანდელი საერთაშორისო ვითარების დროს, — განაცხადა მან, „უთუოდ შეუწყობს ხელს აზიაში მდგომარეობის სტაბილიზაციას და იმ პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც მთელ მსოფლიოს ეხება“.

გენერალურმა ასამბლეამ დიდი ყურადღებით მოისმინა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის სიტყვა. ა. ი. ვიშინსკი შეეხო იმ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებსა და გზებს, რომლებითაც უნდა იაროს გაეროთიანებული ერების ორგანიზაციამ, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება მთელ მსოფლიოში. ა. ი. ვიშინსკი დაწვრილებით შეეხო გერმანიის პრობლემას, ევროპასა და აზიაში მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხებს, აგრეთვე შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხს. თავისი სიტყვის დასასრულს ა. ი. ვიშინსკიმ გამოაქვეყნა შემდეგი ტექსტი საბჭოთა რეზოლუციის პროექტისა „შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის საკითხზე საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) დადების შესახებ“.

I. გენერალური ასამბლეა აღელვებს გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის შეიმუშაოს და უშიშროების საბჭოს დასამტკიცებლად წარადგინოს პროექტი საერთაშორისო კონვენციისა (ხელშეკრულებისა), რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება და რომელიც ითვალისწინებს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვას და მათ ამოღებას სახელმწიფოთა შეიარაღებიდან, შეიარაღების არსებით შემცირებას და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს საფრანგეთისა და ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის წინადადებანი.

ამის შესაბამისად კონვენცია (ხელშეკრულება) უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

1. ერთსა და იმავე დროს განხორციელდეს ქვემოთ ნაჩვენები ღონისძიებანი: ა) სახელმწიფოები ექვსი თვის (ან წლის) განმავლობაში ამცირებენ თავიანთ შეიარაღებას, შეიარაღებულ ძალებსა და სახელმწიფო ბიუჯეტებით ასიგნობებს სამხედრო საჭიროებათათვის შეთანხმებული ნორმების 50 პროცენტის ოდენობით. შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება წარმოებს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ამ დონის მიხედვით, რომელიც იყო 1953 წლის 31 დეკემბერს, და ასიგნობათა შემცირება 1953 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებათათვის გაწეული ხარჯების დონის მიხედვით.

ბ) სახელმწიფოთა მიერ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების იმ ვალდებულებათა შესრულებისადმი მეთვალყურეობის მიზნით, რომელსაც ითვალისწინებს „ა“ ქვეპუნქტი, უშიშროების საბჭოსთან იქმნება დროებითი საერთაშორისო საკონტროლო კომისია, რომელსაც უფლება ექნება მოსთხოვოს სახელმწიფოებს საჭირო ცნობები შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. კომისია განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს იმისადმი მეთვალყურეობისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების და სამხედრო საჭიროებათათვის ასიგნობების შესამცირებლად. სახელმწიფოები ჰერიოდულად დაწესებულ ვადებში წარუდგენენ კომისიას ცნობებს კონვენციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

2. I პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათა დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია ერთსა და იმავე დროს განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) სახელმწიფოები ექვსი თვის (ან წლის) განმავლობაში ამცირებენ თავიანთ შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებს და სახელმწიფო ბიუჯეტებით ასიგნობებს სამხედრო საჭიროებათათვის იმ შეიარაღებისა თუ შეიარაღებული ძალების დონის შეთანხმებული ნორმების დანარჩენი 50 პროცენტით, რომლებიც იყო 1953 წლის 31 დეკემბერს, და ამცირებენ ასიგნობებს 1953 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებათათვის გაწეული ხარჯების დონის მიხედვით;

ბ) ხორციელდება ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული აკრძალვა, ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტა და მათი სრული ამოღება სახელმწიფოს შეიარაღებიდან; მთელი არსებული ატომური მასალები გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ამ ღონისძიებათა განხორციელება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს, ვიდრე 2 (ა) პუნქტში გათვალისწინებული შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელება, ამასთან ატომური და წყალბადის იარაღის წარმოება შეწყდება დაუყოვნებლივ, როგორც კი დაიწყება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების და სამხედრო საჭიროებათათვის ასიგნობების შემცირება შეთანხმებული ნორმების დანარჩენი 50 პროცენტით;

გ) სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ მუდმივ საერთაშორისო ორგანოს, რომელმაც უნდა განახორციელოს კონტროლი ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვის, ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტის, სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მათი ამოღების და შეიარაღების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო საჭიროებათათვის ასიგნობების შემცირების შესახებ კონვენციის (ხელშეკრულების) შესრულებისადმი, ასეთ საერთაშორისო ორგანოს რწმუნება ექნება განახორციელოს კონტროლი, მათ შორის ინსპექცია მუდმივ საფუძველზე იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა, ყველა სახელმწიფოს მიერ აღნიშნული კონვენციის შესრულების უზრუნველსაყოფად.

II. ამ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელსაც შეიცავდა საფრანგეთ-ინგლისის 1954 წლის 11 ივნისის მემორანდუმი ამის შესახებ, რომ „იარაღის ატომგული იარაღის გამოყენება, გარდა მისი გამოყენებისა აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით“, გენერალური ასამბლეა გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას ავალებს შეისწავლოს და დააზუსტოს ეს საკითხი და წარმოადგინოს თავისი რეკომენდაციები.

გუშინ გენერალური ასამბლეის სხდომის დარბაზში, ასამბლეის მუშაობის დაწყებიდან ყველა წინა დღისაგან განსხვავებით, ხალხით იყო გაჭედილი. ამისათვის, რომ მოესმინათ სსრ კავშირის წარმომადგენლის სიტყვა. ბევრი ქვეყნის დელეგაციები სხდომაზე სრული შემადგენლობით მოვიდნენ. თითქმის ყველა ქვეყნის დელეგატებმა, აგრეთვე სტუმრებმა, რომლებიც სხდომას დაესწრნენ, ხანგრძლივი ტაშით გამოხატეს თავიანთი დამოყიდებულება რეზოლუციის პროექტისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვამ და საბჭოთა რეზოლუციის პროექტმა განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ დელეგატზე. კერძოდ, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამერიკის წარმომადგენელმა ლოჯმა და ინგლისის წარმომადგენელმა ლიიდმა ასამბლეის სხდომის შემდეგ საჭიროდ გააკეთეს პრესისათვის განცხადებები, რომლებიც აშკარად იმას ითვალისწინებდნენ, რომ შეენელებინათ ამ შთაბეჭდილების ძალა. იძულებული გახდნენ რა ეღიარებინათ, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტი შეიცავს ახალ დიდმნიშვნელოვან წინადადებებს, ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები თავიანთ განცხადებებში ამტკიცებდნენ, თითქოს საბჭოთა რეზოლუციის ზოგიერთი პუნქტი სავსებით „ნათელი“ არ არის.

ინგლისის დელეგატმა ლიიდმა განაცხადა, რომ საბჭოთა რეზოლუციის პროექტის შემოტანასთან დაკავშირებით იგი იძულებულია თავისი გამოსვლა გადაიტანოს 1-დან 4 ოქტომბრისათვის.

სხდომის დასასრულს გამოვიდა საბერძნეთის წარმომადგენელი — საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფანოპულოსი.



წყალტუბო. აუზი-ჩანჩქერი ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმის შენობასთან. ფოტო პ. ლუცენკოსი.

ილიასეული ნივთები

დღითიდღე მდიდრდება ახალი ექსპონატებით ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ამ დღეებში ქ. თბილისში მცხოვრებმა მოქალაქე ისაკ სიმონის-ძე ჭეიშვილმა საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ილია ჭავჭავაძისეული ორი ცალი სელის სკამი სასადილო ოთახიდან და ერთი პატარა ჩაქუჩი.

სოფელ კარდანახში მცხოვრებმა მოქალაქე ირაკლი ივანეს-ძე აფხაზმა იმავე სახლ-მუზეუმს შესწირა ილია ჭავჭავაძის ოთხი ცალი სხვადასხვა ზომის სურათი (ორიგინალი).

გ. ჭიხეიძე,
საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალურ კლუბში

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალურ კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული წრე (ხელმძღვანელი ი. ორჯონიკიძე) მონდომებით ემზადება მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. წრე შეიკრიბა ამ დღეებში ახალი მოცეკვავეებით, განახლდა პროგრამა, ყოველდღიურად მიმდინარეობს მეცადინეობა.

ოლიმპიადაზე წრე შეასრულებს ცეკვებს „დავლურს“, „ოსურს“ „ჩორუმს“, „განდაგან“ და სხვ. ამჟამად მზადდება ახალი ცეკვა — „საკოლმეურნეო სურათი“, რომელიც ასახავს კოლმეურნეთა შრომას.

სასამართლოს დარბაზიდან

მკვლელობისათვის — დახვრეტა

ნაპატიმრალი ქურდი — რეციდივისტი სულეიკო ილიას-ძე ბახურაული გაურბოდა პატიმრობას, საზოგადებრივ შრომას, ეწეოდა გადაგვარებულ ცხოვრებას, სისხლის სამართლის დამნაშავე პირებთან ერთად მოქალაქეთა მკვლელობას, ძარცვას.

მიმდინარე წლის 13 მარტს, საღამოს, წუნეთის გზაზე მშვიდად მიდიოდა მოქალაქე გ. აფციაური.

— არ გაინძრე, — შეჰკივლა ს. ბახურაულმა და უმალვე რევოლვერის რამდენიმე ტყვია დაუყარა.

— რას მერჩით, რა გინდათ? — ამოილაპარაკა მომაკვდავმა.

ბახურაულმა მას დანით მკერდში კიდევ ორი ჭრილობა მიაყენა. „მკვდრის გაძარცვა უფრო ადვილიაო“, წაილაპარაკა ბოროტმოქმედმა. მძარცველებმა წაიღეს მოქალაქე აფციაურის პალტო, საათი, ფული...

მძარცველ-კაცისმკვლელმა ბახურაულმა გაუყურელ მეგობართან ი. ვარამაშვილთან ერთად მოკლა და გაძარცვა მოქალაქეები ს. არუთინოვი, ბ. გერსამია, მილიციის თანამშრომლები დ. აბრამაშვილი, პ. ნონიაშვილი.

ნაძარცვს, ცივ და სასროლ იარაღს კაცისმკვლელებს უნახავდა, ეხმარებოდა მათ მთავარი ბოროტმოქმედის და თამარ ბახურაული.

კაცისმკვლელ-მძარცველთა ქვაღს მიაგნეს მილიცია-პროკურატურის ორგანოებმა. ისინი შეიპყრეს.

ამ დღეებში მკვლელ-მძარცველთა საქმე გაარჩია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ე. ცაბოლოვას თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის — ქ. თბილისის პროკურორის ამხ. გ. ხმალაძის მონაწილეობით. მკვლელ-მძარცველს ს. ბახურაულს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ქონების კონფისკაციით, ი. ვარამაშვილს — 25 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით, თ. ბახურაულს შეეფარდა სასჯელის სათანადო ზომა.

დარბაზში დამსწრენი კმაყოფილებით შეხვდნენ განაჩენს.

ქ. სხვაველი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაციკიძე.

სპორტის ამბები

ერევანში საბჭოთა და ეგვიპტური ნარმავება ეგვიპტეში

ალექსანდრია, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ალექსანდრიაში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის კალათბურთელთა პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მოთამაშეები შეხვდნენ ეგვიპტის მეორე ნაკრებ გუნდს. თამაშის პირველივე წუთებიდან საბჭოთა სპორტსმენებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ანარჩუნებდნენ მატჩის დამთავრებამდე. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 40:22 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ. თამაშის მეორე ნახევარმა აგრეთვე საბჭოთა კალათბურთელების აშკარა უპირატესობით ჩაიარა. მატჩის საერთო ანგარიშია 62:34 „დინამოს“ გუნდის სასარგებლოდ. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სპორტსმენებს.

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობა

მთავრდება ასპარეზობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ გუნდები: „სპარტაკი“ (ერევანი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ზენიტი“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ვილნიუსი) „შახტიორი“ (ტალინი) და „ტორპედო“ (დონის როსტოვი).

არსებული წესის მიხედვით ერთი გუნდი — ფინალურ ასპარეზობაში გამარჯვების — 1955 წელს გადადის „ა“ კლასში. 1955 წელს „ა“ კლასში იქნება არა 13 გუნდი, როგორც ეს წელს იყო, არამედ 12 გუნდი. „ა“ კლასის გუნდებიდან ორი — „ტორპედო“ (გორკი) და „ლოკომოტივი“ (ხარკოვი), რომლებმაც ორი უკანასკნელი ადგილი დაიკავეს, გადაყვანილ იქნებიან „ბ“ კლასში. (საკდესი).

კოლმეურნე ფეხბურთელთა ასპარეზობა

ლვოვი. 1 ოქტომბერი. აქ გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. 1 ოქტომბერს საქართველოს გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა ლიტვის ფეხბურთელთა კოლექტივი ანგარიშით 3:2. ამრიგად, საქართველოს „კოლმეურნის“ გუნდმა 2 ოქტომბრამდე გამართული 2 შეხვედრიდან ორივე მოიგო ბურთების საერთო შეფარდებით 10:2.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დურავის
გასვრლები
(შეჩეული ცხოველების ჯგუფი)
დიდი საცირკო პროგრამა
მონაწილეობენ:
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

კვირას, 3 ოქტომბერს
დღის ორი საბაეშვო წარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. 30 წ. დღის წარმოდგენების
დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის
სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიური დასწრებაზე.

მოქალაქე **რევაზ აკაკის-ძე გვანცელაძემ**, მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 3, აღძრა საქმე წყალსაზიდის ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე **ევგენია მიხეილის ასულ გრიგოლიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სახალხო სასამართლო რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სუსანა მიხეილის ასულმა აკოფოვამ**, მცხოვრებმა ტელეგრაფის შესახვევი № 3, აღძრა საქმე ორჯონიკიძის ქ. № 36 მცხოვრებ მოქალაქე **დრასტამატ ნიკოლოზის-ძე ოგანესიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სახალხო სასამართლო რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ელენე, თამარ, ნიკოლოზ, შვილიშვილები მანანა, გიორგი, გია, ლევან, რძალი თამარ, სიძეები ი. ქუთათელაძე, პ. ბურჯანაძე, ვ. მჭედლიშვილი იუწყებიან **ალექსი მაქსიმეს-ძე მეზუშლას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 5½ ს. პეტრაშვილის ქ. № 20.

მეუღლე აიკანუშა, შვილი სტეფანე, რძალი ქენია, შვილიშვილები ილო, ბელა, დები ნინო, მათიკო, მანია იუწყებიან **ილია სტეფანეს-ძე გალუსტოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 7 ს. გამოსვენება 5-X, 5 ს. ბინიდან, ვოროშილოვის ქ. № 163.

მეუღლე ლიდა, შვილები ავქსენტი, ვასო, რძლები თამარ, ოლია, შვილიშვილები გოგი, რუსუდან, მანანა იუწყებიან **ნიკიფორე სიმონის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-X სოფ. ნიკორწმინდაში (ამბროლაურის რ.).

შვილები ვიქტორ, თინა, ზოია, რძალი თამარ გოგაშვილი, შვილიშვილები ნოდარ, ჯუნარო, ლეილა, თამაზ, ტარიელ, სიძეები შოთა საბაური, ისაკ ახვლედიანი იუწყებიან **პელაგია არსენის ასულ ცხვარაძე-კაკაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-X ზემო ხეთში (ჩოხატაურის რ.).

შვილები იოსებ, სოლომონ, ანტონ, გუგული, ელენე, ლიდა, ეკატერინე, რძლები თამარ, ნინო, ანა, ლიანა ცქიტიშვილები, სიძე იოსებ ზავადკო და შვილიშვილები იუწყებიან **ნინო მურმანის ასულ ცქიტიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-X ძირულაში.

დედა ელენე, მეუღლე ეთერ, შვილები დეზდემონა, ჯულიეტა, ვენერა, გივი, დები თამარ, მარო, ძმა აკაკი, რძალი ნათელა, სიძე ბ. წირქვაძე, დისწულები ნანი, ხუტა გოგიები იუწყებიან **ხაშა იოსების-ძე სურმავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X ჩრდილიანთკარში (დუშეთის რ.).

მეუღლე ეკატერინე, შვილები ლეონიდე, ნოდარ, ნინო, ნანა, ნათელა, ნანული, ნინო, ნანა, ნათელა, ნანული, ნინო, ნანა, ნათელა, ნანული